



MIA 4 22 01054609

20/04/2022

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის
ზუგდიდის აკადემიის დირექტორს
ქალბატონ ნესტან აბსავაძეს

ମାଲିକାତ୍ମନଙ୍କ ରେସ୍ଟାର୍ଣ୍ଡ,

თქვენი, 2022 წლის 20 აპრილის №03/18 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილი შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ზუგდიდის აკადემიის საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
მელქაძე თეიმურაზ

თ. ჭავჭავაძე

“ვამტკიცებ”

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის
აკადემიის დირექტორი ნესტონი აბსავა

20

აპრილი



„შეთანხმებულია”

შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
– საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურის უფროსი

2022 წ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის
საგანგებო მართვის გეგმა

შემუშავებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის საგანგებო
შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის
აკადემიის დირექტორის ნესტან აბსავას მიერ 2022 წლის 20 აპრილის № 01/30 ბრძანებით
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N 508 დადგენილებით დამტკიცებული
„სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის” შესაბამისად.

ზუგდიდი
2022 წელი

I თავი

შესავალი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის ორგანიზაციის საქმიანობის საფუძველს. იგი, ამავდროულად, არის „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი და უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, სტუდენტებისა და თანამშრომელთა მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია მოქმედებს დანართი N2-ში წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე დროს, იგი უფლებას იტოვებს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის სტუდენთა და თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;
- კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, კოლეჯის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე კოლეჯის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

1.3 ორგანიზაციის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორი ნესტანი აბსავა ტელეფონი: 577 77 85 16; 595 02 35 36;

1.3.2 თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა: თანამშრომელი - 20, სტუდენტი - 72;

1.3.3. შენობების ტიპი და მისი არქიტექტურულ - კონსტრუქციული აღწერა.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის იურიდიული მისამართია საქართველო, ზუგდიდი შ. კიტიას ქუჩა N 9; შენობა აშენებულია 2007 წელს. რესტავრაცის დასრულდა 2008 წლის 20 დეკემბერს. შენობა არის ორსართულიანი, მართვულია კონფიგურაციით. გაბარიტული ზომები (14,0X36,9)მ. შენობის განაშენიანების ფართობი შეადგენს 516,63 კვ.მ. ხოლო სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 8,75 მ.

შენობა საოფისე დანიშნულების ორსართულიანი, მარტივი კონფიგურაციის კაპიტალურ შენობას, რომელიც დღეის მდგომარეობით გამოყენებულია სასწავლო საგანმანათლებლო დაიშნულებით.

შენობა განეკუთვნება კაპიტალობის II ჯგუფს, ხოლო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილების მე-5 მუხლსა და N 1 დანართის III კლასს.

შენობა შევიდა ექსპლუატაციაში 2008 წელს, დათვალიერების მომენტისთვის ტექნიკურად მუშა შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტებია: საძირკველი - ლენტური წერტილოვანი, მონოლითური რ/ბეტონის; საძირკვლები - ანკარები რ/ბეტონის ცოკოლის ბლოკირების; კედლები - რ/ბეტონის მსხვილი საკედლე ბლოკების; სართულშუა და სასხვენო გადახურვა - ღრუტანიანი /რკინა/ბეტონის ფილების, სახურავი - ერთქანობიანი, ლითონის პროფილი რებული საფენის ხის კარკასზე.

მიმდებარე ტერიტორიის აღწერა: შენობას აქვს ეზო 1107.00 კვ. მ. საპირფარეშო და გამწვანების ზოლი. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით. კოლეჯი მდებარეობს ქალაქის ცენტრში შ. კიტიას N 9 -ში, შენობის მარცხენა მხარეს განთავსებულია სააფთიაქო ქსელი ავერსი ხოლო შენობის წინა და მარჯვენა მხარეს კერძო საცხოვრებელი სახლი.

1.4 საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკონდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორი ხოლო, მისი მოადგილე - საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი სამეურნეო სამსახურის

მენეჯერი, რომელიც დანიშნულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;
- მხარდაჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბის წევრის ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი	დირექტორი	დანართი № 3 პუნქტი №1
2	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	სამეურნეო სამსახურის მენეჯერი	დანართი № 3 პუნქტი №2
3	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე - კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	დანართი № 3 პუნქტი №3
4	სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი	დირექტორის მოადგილე	დანართი №3 პუნქტი №4
5	სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი	ექთანი	დანართი №3 პუნქტი №5
6	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში უფლებამოსილი პირი	პროფორიენტაციისა და პროფესიული კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	დანართი № 3 პუნქტი №6
7	მატერიალური -ტექნიკური მომარაგების დარგში პასუხისმგებელი პირი	კოლეჯის საქმისწარმოების მენეჯერი	დანართი № 3 პუნქტი №7

1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების და თანამშრომლების შეტყობინება - განგაშის ზარი 3 წუთის ხანგრძლივობით (წინასწარ შეთანხმებული ხმოვანი სიგნალის იმიტაციით), რომელიც კოლეჯს გააჩნია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას. ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით (საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა დანართი №8). აგრეთვე ელექტრო-ენერგიის გამორთვის შემთხვევაში კოლეჯს გააჩნია ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობა (რუპორი).

1.6 სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. (იხილეთ დანართი N 11)

II თავი

საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული "2015-2018 წწ. საფრთხეების ეროვნული დოკუმენტის" (ნოემბერი 2015) საფუძველზე და საფუძველზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად;

2.1 მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

ზუგდიდი სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე არსებობს შემდეგი სახის საფრთხეები:

- ხანძარი
- მიწისძვრა
- ძლიერი წვიმა.

საფრთხე ხანძარი: ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ განისაზღვრება ხანძარი, ვინაიდან არსებობს ხანძრის წარმოქმნის რისკი სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორიცაა: ელექტრო-გაყვანილობის დაზიანება, არასწორი ექსპლუატაცია, დაუდევრობა.

საფრთხე მიწისძვრა: ზუგდიდი მდებარეობს აქტიურ სეისმურ ზონაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს საქართველოს შესაბამისი დაპროექტების სტანდარტის, (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“) მოთხოვნების

გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტის პირველი დანართის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების (MSK 65 შკალა) ზონას, რომლის უგანზომილებო სეისმური კოეფიციენტის (A) სიდიდე 0.15-ს შეადგენს. მიუხედავად სეისმურად აქტიური ზონისა ზუგდიდის რეგიონში არ დაფიქსირებულა ძლიერი მიწისძვრები.

ძლიერი წვიმა: ზუგდიდში მოსალოდნელ საფრთხეს განსაკუთრებით გაზაფხულის და შემოდგომის პერიოდში წარმოადგენს ძლიერი წვიმას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს აკადემიის შენობების კედლებიდან გარე საფარის ჩამოშლა, დაიტბოროს ქუჩები და შენობანაგებობის პირველი სართული.

2.2 რისკის შეფასების დრო: 14.04.2022

2.3 რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა აკადემიის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იყო ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.4 რისკის შეფასების შედეგები: რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

**რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან
გამოვლინდა შემდეგი რისკები:**

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ხანძარი	5	8	N 1 - 40
2	ძლიერი წვიმა	7	5	N 2 - 35
3	მიწისძვრა	3	4	N 3 - 12

რისკი N 1 აღწერა: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდის აკადემიის შენობაში დაარსების დღიდან დღემდე ხანძარი არ დაფიქსირებულა. თუმცა ხანძრის წარმოქმნა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგალითად: ცეცხლთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ, ელექტრო გაყვანილობის და მოწყობილობების გაუმართაობამ.

რისკი N 2 აღწერა: ზუგდიდში მოსალოდნელ საფრთხეს განსაკუთრებით გაზაფხულის და შემოდგომის პერიოდში წარმოადგენს ძლიერი წვიმა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დატბორვა.

რისკი N 3 აღწერა: ზუგდიდი სეისმურ ზონაში მდებარეობს რაც საფრთხეა და შესაძლებელია მოხდეს ძლიერი ბიძგები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შენობის დაზიანება, ხანძრის წარმოქმნა, კომუნალური და კავშირგაბმულობის ქსელის დაზიანება.

2.5 საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი N 1 რისკის მიხედვით: ხანძრის შემთხვევაში შესაძლოა გადაიწვას ელექტრო-სისტემა, მოხდეს შენობის დაკვამლიანება, საფრთხე შეექმნას ლაბორატორიას, ასევე შენობის საოფისე და სასწავლო ნაწილს, ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე სტუდენტთა და თანამშრომელთა დაშავება.

სცენარი N 2 რისკის მიხედვით: ძლიერმა წვიმამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას შენობის საკომუნიკაციო გაყვანილობას, ასევე შესაძლებელია შენობას დაუზიანოს ენერგო და გაზმომარაგების საშუალებები.

სცენარი N 3 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს ობიექტზე არსებული შენობა-ნაგებობების ნგრევა, კომუნალურ - ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა. დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პერსონალის დაღუპვა.

III თავი

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება;

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგვამვა.

3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 1 რისკის მიხედვით:

ხანძარი:

- ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე გამოყოფილი ყავს პასუხისმგებელი პირი.
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.
- ტექნიკური რეგულირების დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად, შენობის სხვენის ხის კონსტრუქციები დამუშავებულია შესაბამისი ცეცხლმედეგობის ზღვარის მქონე სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით.
- შენობის საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია ავარიული განათება დაწყობილია „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მანათობელი ნიშნები.
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის 112 ნომერი.
- მე-2 სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები (ვადების კონტროლით) გამოყენების ინსტრუქციით.
- თანამშრომლებს/სტუდენტებს პერიოდულად უტარდებათ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით.
- შენობაში მიმდინარეობს უწყვეტი ვიდეო მონიტორინგი
- ელექტრო-წერტილების, ელექტრო გამანაწილებელი-კარადების, ელექტრო-სადენების, ელექტრო ტექნიკის პერიოდული მონიტორინგი და გადამოწმება;
- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლსაქრობის) და სისტემების (სახანძრო სიგნალიზაციისა და მაუწყებლობის სისტემის, გადამოწმება. (ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 5.1)

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 2 რისკის მიხედვით:

ძლიერი წვიმა:

- ძლიერი წვიმის დროს მოქმედებების დროს ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
 - პერიოდულად ხორციელდება ელექტრო გაყვანილობებების ტექნიკური რევიზია;
 - ეზოს ტერიტორიაზე გამხმარი ხეების ან ტოტების მოჭრა.
 - შენობაზე განთავსებული აბრების ან ბანერების რევიზია-გამაგრება.
- (ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 5.2)

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 3 რისკის მიხედვით:

მიწისძვრა:

- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
 - შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება - შემოწმება (რისკების შესამცირებლად აკადემიამ მოიწვია სპეციალისტები შენობის მდგრადობის დასადგენად (იხ. მდგრადობის დოკუმენტი);
 - დაუმაგრებელი ავეჯის გამოვლენა და მათი ფიქსაცია.
- (ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 5.3)

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათადარიგო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს. მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 1 რისკის მიხედვით:

- შტაბის წევრებისათვის სათანადო (ევაკუაციის პროცედურები, ხანძართან ბრძოლის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვ.) ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება.
- სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება;
- სახანძრო სფეროში პერსონალისთვის ხანძრის ჩაქრობის იმიტირებული სწავლებების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.1-ში.)

3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით:

- თანამშრომლების და სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგების და სწავლებების პერიოდული დაგეგმვა ძლიერი წვიმასთან და ქართან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;

,

- ძლიერი წვიმისგან შენობის დატბორვის შემთხვევაში თანამშრომლების და სტუდენტების აყვანა კოლეჯის ზედა სართულებზე;
 - ძლიერი წვიმის დროს მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების შესაბამისი ღონისძიებების და სამუშაოების ჩატარება.
- (დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 5.2-ში.)

3.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით:

- თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგების და სწავლებების პერიოდული დაგეგმვა მიწისძვრასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- საევაკუაციო იმიტირებული სწავლება;
- საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა;
- სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და მათი სრულყოფა-განახლება;
- კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური გადამოწმება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 5.3-ში.)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.3 ფაზა III. რეაგირება:

3.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით:

ხანძარი: საგანგებო შტაბის უფროსი ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს სამსახურს - 112. შემდეგ აცნობებს მისი ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობის ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით წინასწარგანსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში.

ასევე მოხდეს:

- ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს პროცესი.
- სათანადოდ გადამზადებული პერსონალის მიერ ხანძრის ლიკვიდაცია არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მოხმარებით;
- შენობაში ელ. კვების, გაზისა და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- დაზარალებული სტუდენტებისთვის და თანამშრომლებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- სამაშველო სამსახურებთან ერთად კოორდინირებული მოქმედება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.1)

3.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით:

მლიერი წვიმა: საგანგებო შტაბის უფროსი ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს სამსახურს - 112-ს. შემდეგ აცნობებს მისი ჯგუფის წევრებს და შენობის დატბორვის შემთხვევაში კოორდინირებულად დაიწყება ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და სტუდენტების შენობის ზედა სართულებზე აყვანა ან უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით წინასწარგანსაზღვრულ შემაღლებულ უსაფრთხო ზონაში.

ასევე მოხდეს:

- ჩახერგილი საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს პროცესი;
 - საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზმომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
 - დაზარალებული სტუდენტთა და თანამშრომელთა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- (დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.2)

3.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით:

მიწისძვრა: შენობის შიგნით სტუდენტები და თანამშრომლები განლაგდებიან უსაფრთხო ადგილებში, მიწისძვრის შემთხვევაში საგანგებო შტაბის უფროსი ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს სამსახურს - 112-ს. შემდეგ დაუყონებებს მისი ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან აცნობებს მისი გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს პროცესი თანამშრომლებისა და სტუდენტების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

ასევე მოხდეს:

- პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხო ევაკუაცია წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში, საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით;
- პარალელურად მოხდება ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს პროცესი;
- განხორციელდება სახიფათო ზონების იზოლირება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.3)

3.4 ფაზა IV. აღდგენა:

3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა № 1 სცენარის მიხედვით:

ხანძარი: ხანძრის მასშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- მატერიალური ფასეულობების გამოტანა, დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 7.1-ში)

3.4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა № 2 სცენარის მიხედვით:

ძლიერი წვიმა: მასშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობის და ტერიტორიის დასუფთავება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება;
- შენობის და მისი სახურავის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 7.2-ში)

3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა № 3 სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა: მიწისძვრის შედეგების მასშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობის და ტერიტორიის ნამსხვრევებისგან დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 7.3-ში)

IV თავი

გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება
1	გრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
2	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი
3	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები
4	ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
5	ფაზა II. მზადყოფნა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
6	ფაზა III. რეაგირება – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით
7	ფაზა IV. აღდგენა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში
8	საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა
9	შენობებიდან ევაკუაციის გეგმები
10	საქ. სავაჭრო -სამრეწველო პალატა შპს „ზუგდიდ ექსპერტიზა“ დასკვნა.
11	სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
12	რეაგირების ჯგუფების შემადგენლობა

დანართი N 1



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორის

ბრძანება №01/28

08.04.2022 წ.

ზუგდიდი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N 508 დადგნილების „სამოქალაქო
უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის საფუძველზე სამოქალაქო
უსაფრთხოების ღონისძიების ორგანიზების მიზნით

ვ ბრძანებ:

შეიქმნას შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის საგანგებო შტაბი,
შემდეგი შემადგენლობით:

- 1) ნესტანი აბსავა - საგანგებო შტაბის უფროსი, კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის
დირექტორი;
- 2) მანან ჯალალონია - საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში
- სამეურნეო სამსახურის მენეჯერი.
- 3) მარინე ალფენიძე - საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-
ტექნიკური მომარაგების დარგში, კოლეჯის საქმისწარმოების მენეჯერი;
- 4) ნესტან აბსავა - საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაზმულობისა და
შეტყობინების საკითხებში - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
- 5) ლალი ნარსია - სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი-
ექთანი;
- 6) დარეჯან ფიფა - სახანძო-სამაშველო ჯგუფის უფროსი - დირექტორის
მოადგილე;
- 7) ლია ქარდავა - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში უფლებამოსილი პირი -
პროფორიენტაციისადა პროფესიული კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.
- 8) გრძანების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა დაევალოს კოლეჯის
საქმისწარმოების მენეჯერს;
- 9). გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე:

კოლეჯის დირექტორი:

6. 18/5 ვ. 1

ნესტანი აბსავა

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (27.06. 2018 წ.);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის № 508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის № 371 დადგენილება „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის № 51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის № 153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეგისტრის მაღლების წესდების დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის № 154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის № 370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის № 4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის № 577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის № 590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის № 48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება № 01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად“;

**საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები
და მათი ამოცანები**

№	საგანგებო შტაბის წევრი (გვარი და სახელი)	ამოცანები (მოვალეობები)	საკონტაქტო ტელეფონი	შენიშვნა
1.	საგანგებო შტაბის უფროსი - ნესტანი აბსავა დირექტორი	<ul style="list-style-type: none"> - საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების, ასევე საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს; - პერსონალისათვის და სტუდენტებისთვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება; - მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება; - რეაგირების ჯგუფების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება; - ჯგუფების ინდივიდუალური დაცვისა საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა. - სტუდენტებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში. - საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ორგანიზება. - საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება. 	577778516	
2.	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე - ევაკუაციის საკითხებში - მანანა ჯალალონია სამეურნეო სამსახურის მენეჯერი	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალთა და სტუდენტთა, მატერიალურ ფასეულობათა, დოკუმენტების, უნიკალური მოწყობილობების, აპარატურის და სხვათა ევაკუაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება; - ადმინისტრაციულ შენობაში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება; - ევაკუაციის რაიონის, მოძრაობის მარშრუტის, ჩასხდომის და გადმოსხდომის ადგილის განსაზღვრა; - ევაკუირებულთა გადასაყვან ავტოტრანსპორტზე აღრიცხვიანობის ორგანიზება; - ევაკუირებულთა პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგების ორგანიზება; - მუდმივი კავშირის ქონა ქალაქებარე ზონაში ევაკუ მიმღებ პუნქტებთან; - ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში, იგი ვალდებულია: - დროულად შეატყობინოს პერსონალს ევაკუაციის 	597 034770	

		<ul style="list-style-type: none"> - დაწყება; - დროულად გაავზავნოს შემკრებ საევაკუაციო პუნქტზე თავისი წარმომადგენელი; - ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომლების გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადაყვანის მიზნით; - ჩასახლების ადგილებში, ჩასვლის შემდეგ ორგანიზება გაუკეთოს ევაკუირებულთა დროულ დაბინავებას და მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას. 	
3.	საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - ნესტან აბსაგა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, შეტყობინების სქემის მიხედვით საგანგებო შტაბის შეკრებასა და სხდომების ორგანიზებას; - იგი ვალდებულია დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, რეაგირების ჯგუფების და პერსონალის სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. - ახორციელებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ინფორმაციის შეგროვება და მისი გაცვლის ორგანიზება; საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი მუდმივად განახლება. 	593 487249
4.	მატერიალურ ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი - მარინე ალფენიძე საქმისწარმოების მენეჯერი	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიიღოს აქტიური მონაწილეობა საგანგებო მართვის გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინებისთვის; - მონაწილეობა მიიღოს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - მოამზადოს ანგარიში რეაგირების ჯგუფების აღჭურვის მიზნით. - იცოდეს საჭირო აღჭურვილობისა და ინვენტარის რაოდენობა, მისი შემენისა და შენახვის პირობები; - იცოდეს ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მათი ტექნიკური აღჭურვილობა და საწვავ-საცხები მასალის შენახვის პირობები. აწარმოოს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა; - სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს ავტოტრანსპორტის და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ. 	568 675878
5	სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი - ლალი ნარსია ექთანი	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <p>მშვიდობიან პირობებში:</p> <ul style="list-style-type: none"> - მონაწილეობდეს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - სისტემატიურად უწევდეს კონტროლს ობიექტის 	592191984

	<p>ტერიტორიაზე სისუფთავისა და პერსონალის მიერ ჰიგიენის დაცვას;</p> <ul style="list-style-type: none"> - აღმოუჩინოს პირველი სამედიცინო დახმარება დაზიანებულ სტუდენტებს და თანამშრომლებს; - მუდმივად ზრუნავდეს პირველი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების საჭირო მარაგის შექმნაზე. <p>ექსტრემალურ ვითარებაში იგი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს დაშავებულების პირველი სამედიცინო დახმარების გაწევას. 		
6	<p>საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დაწესი უფლებამოსილი პირი - ლია ქარდავა პროფორიენტაციისა და პროფესიული კარიერული დაგეგმვის მენეჯერი</p>	<p>უქვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოფს ჯგუფის ოპერატორულ შეკრებას; - იცვას წესრიგს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში; - უზრუნველყოფს საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზებას და წესრიგის დაცვას მისი განხორციელების პროცესში; - მონაწილეობს პრევენციული, მზადყოფნის და რეაგირების ღონისძიებების განხორციელებაში საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით. 	568 888120
7.	<p>სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი:</p> <p>დარეჯან ფიფა დირექტორის მოადგილე</p>	<p>ორგანიზებას უკეთებს რეაგირების ძალების საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენით სამუშაოებში ჩართვას;</p> <p>იგი მშვიდობიან პირობებში ვალდებულია;</p> <ul style="list-style-type: none"> - იცოდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი. ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის; - შეისწავლის ობიექტზე განლაგებული ყველა შენობა-ნაგებობა და ენერგომომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგებისა და საკომუნიკაციო ქსელები; - სისტემატიურად ამოწმებდეს ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარითა და ცეცხლმაქრებით. იცოდეს ცეცხლმაქრების ვარგისიანობა, მათი შევსების დრო; 	595 730 325

დანართი 4.1

#	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	ელექტრო სისტემის გადამოწმება	პვარტალში ერთხელ	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	
